



# საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

## ბრძანება N 178

01/06/2017

**„2017 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 1 იანვრამდე პერიოდისთვის ფილტრიან და უფილტრო სიგარეტებზე აქციზის თანხის გამოანგარიშების მიზნისათვის საცალო სარეალიზაციო ფასის დადგენის თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 14 ნოემბრის N277 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N996 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 77<sup>1</sup> მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

1. „2017 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 1 იანვრამდე პერიოდისთვის ფილტრიან და უფილტრო სიგარეტებზე აქციზის თანხის გამოანგარიშების მიზნისათვის საცალო სარეალიზაციო ფასის დადგენის თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 14 ნოემბრის N277 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული დანართის 275-ე სტრიქონის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 276-ე და 277-ე სტრიქონები:

276	ვიპ შავი კინგ საიზი	ფილტრიანი სიგარეტი	VIP BLACK King Size	იმპორტირებული	3.20
277	ვიპ ლურჯი კინგ საიზი	ფილტრიანი სიგარეტი	VIP BLUE King Size	იმპორტირებული	3.20

2. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - შემოსავლების სამსახურმა უზრუნველყოს აღნიშნული ბრძანების გაგზავნა მწარმოებლისათვის/იმპორტიორისათვის „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N996 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 77<sup>1</sup> მუხლის მე-12 პუნქტის დაცვით.

3. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია, დაინტერესებული მხარის მიერ მისთვის ბრძანების ოფიციალურად გაცნობიდან, ერთი თვის ვადაში საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში (მისამართი: ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ. N7).

დიმიტრი ქუმსიშვილი

მინისტრი